

ალბექსი 400 (Albeks 400)
Albendazole

წამლის ფორმა: პერორალურად მისაღები ტაბლეტი, გამოიყენება ვეტერინარიაში;

შედგენილობა: 1 ტაბლეტი შეიცავს: ალბენდაზოლს 400მგ.

დამხმარე ნივთიერება: სახამებელი კარტოფილი, პოლივინილპიროლიდონი, ლაქტოზა, საღებავი მწვანე, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი.

გამოშვების ფორმა: 100 ტაბლეტი პოლიეთილენის კონტეინერში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:
ანტიპარაზიტული,
ანტიჰელმინთური საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები

ალბენდაზოლის ანტიჰელმინთური მოქმედება განპირობებულია პარაზიტების ენერგეტიკულ მეტაბოლიზმზე მოქმედ ფერმენტ რედუქტაზას – კრებსის ცილის ენზიმის შებოჭვაზე, რაც იწვევს პარაზიტების სიკვდილს. ზოგ პარაზიტებში ალბენდაზოლი იწვევს ტუბულარული ცილის სინთეზის დათრგუნვას. პრეპარატი



მოქმედებს ჰელმინთების განვითარების ყველა სტადიაში.

ფარმაკოკინეტიკა:

ალბენდაზოლი პერორალურად მიღებისას კარგად შეიწოვება. დოზის დაახლოებით 47% 9 დღის განმავლობაში გამოიყოფა შარდთან ერთად მეტაბოლიტების სახით. პერორალური მიღების შემდეგ პირველადი შენაერთები პლაზმაში ან არ აღინიშნება, ან აღინიშნება მხოლოდ დროის მცირე პერიოდში, რის შედეგადაც ეფექტი ძალიან სწრაფად ვლინდება.

გამოყენების ჩვენებები

ცხენის, მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრის, თხის, ღორის, სხვა ცხოველების, ფრინველის დეჰელმინთიზაცია, მათ შორის:

ცხენი, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი:

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - სტრონგილატოზი.

ფილტვის ნემატოდები: დიქტიოკაულოზი. ცესტოდები - მონიეზიოზი.

ტრემატოდები: ფასციოლოზი, დიკროცელიოზი, პარამფისტომიდოზები.

ღორი: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - ასკარიდოზი, ეზოფაგოსტომოზი.

ფრინველი: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - ასკარიდოზი, ჰეტერაკიდოზი

გამოყენების წესი და დოზები

პრეპარატი ეძლევათ პერორალურად, ერთჯერადად, დიეტის გარეშე ინდივიდუალურად ან ჯგუფური მეთოდით საკვებთან ერთად.

მსხვილფეხა პირუტყვი, ირმები, აქლემები, ველური მცოხნავეები:

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები, ფილტვის ნემატოდები - 1 ტაბლ/40კგ ც.წ-ზე (10მგ/კგ ც.წ-ზე), ცესტოდები 1 ტაბლ./55კგ ც.წ-ზე (7.5მგ/კგ ც.წ-ზე); ტრემატოდები - 1 ტაბლ /30კგ ც.წ-ზე (15 მგ/კგ ც.წ-ზე).

ცხვარი, თხა: კუჭ-ნაწლავის ნემატოდები, ფილტვის ნემატოდები, ცესტოდები _ 1 ტაბლ/40კგ ც.წ-ზე (10მგ/კგ ც.წ-ზე);

ღორი: კუჭ-ნაწლავის ნემატოდები _ 1 ტაბლ/25კგ ც.წ-ზე (17მგ/კგ ც.წ-ზე).

სხვა ცხოველები: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები, ცესტოდები - 1 ტაბლ/40კგ ც.წ-ზე (10მგ/კგ ც.წ-ზე).

ფრინველი: კუჭ-ნაწლავის ნემატოდები - 1 ტაბლ/25კგ ც.წ-ზე (17მგ/კგ ც.წ-ზე); ფილტვის ნემატოდები - 1 ტაბლ/30კგ ც.წ-ზე (15 მგ/კგ ც.წ-ზე)

გვერდითი მოვლენები

ალბექსი ტოქსიკოლოგიური მაჩვენებლებით მიეკუთვნება მცირე ტოქსიკურ შენაერთს. გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს დოზის 3-ჯერადი გადიდების დროსაც კი.

უაუჩვენებები

პრეპარატი არ გამოიყენება დაუძღვრებულ ცხოველებში, მწვავე ფასციოლოზის დროს და მაკობის პირველ მესამედში.

დაყოვნების პერიოდი

ცხოველის დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით ნაბადართულია დეჰელმინთიზაციიდან არაუადრეს 14 დღისა. რძე გამოიყენება 5 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები: ინახება სინათლისაგან დაცულ, მშრალ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურისა.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტეკსი, საქართველო.